პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ივნისი
6
ოთხშაბათი
№ 132
(16562)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Дიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში უმაღლეს სასწავლებლებში მიღების საკითხებზე

უმაღლეს სასწავლებელთა ახალი შემადგენლობა. როგორი უნდა იყოს იგი? როგორ უნდა იყოს ორგანიზებული მუშაობა, რომ არ მოხდეს მიღების წესების არც ერთი დარღვევა, რომ ახალი კონტინგენტის ცოდნის დონე შეესაბამებოდეს გაზრდილ მოთხოვნებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვდნენ მხოლოდ ისინი, ვინც კეთილსინდისიერად სწავლობდა სკოლასა თუ ტექნიკუმში, რომ ადამიანებს საბოლოოდ დაუმკვიდრდეთ რწმენა, რომ უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტის შესვლის კრიტერიუმი მხოლოდ ცოდნაა.

ამ საკითხებს მიეძღვნა თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის რაიკომების მდივნები, ეუონალისტები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, ვ. სირაძე, თ. მენთეშაშვილი, ე. შარბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა ვ. სირაძემ.

— ტრადიციულად გახდა ჩვენი შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობისა და მთელი რესპუბლიკის ცხოვრების პასუხსაგები ეტაპის წინ, თქვა მან. ამ შეხვედრებს, უთუოდ, დადებითი შედეგი აქვს, ისინი კიდევ ერთხელ ახსენებენ ყველას, ვისაც ეკისრება დიდი და საპატიო მისია შეარჩიონ საუკეთესონი საუკეთესო აბიტურიენტებს შორის, შეარჩიონ ისინი, ვინც შეძლებს ჩინებულად სწავლას, ვინც გახდება კარგი, ყოველმხრივ განათლებული სპეციალისტი, ვინც ამრავლებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დიდებას, რომ კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა მომავალი თაობების წინაშე. ეს შეხვედრები კიდევ ერთხელ მეცნიერების წინაშე. ეს შეხვედრები კიდევ ერთხელ მოწმობენ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უმაღლეს სასწავლებელთა ახალი შევსების საკითხს.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ბ. ჯიბლაძის მოხსენება.

ინფორმაციები, თუ როგორ ემზადებიან უმაღლესი სასწავლებლები მისაღები გამოცდებისათვის, გააკეთეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დ. ჩხეიძეშვილმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ჯ. კუხალაშვილმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა ა. ვირსალაძემ, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ა. ალექსიძემ, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ნ. ვასაძემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ვ. მეტრეველმა, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ო. ბაკურაძემ, საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დირექტორების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დირექტორმა რ. რობინიშვილმა, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ე. გუბუშვილიან, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

ოვსენებელმა და თათბირზე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკკპ XXV ყრილობამ, რომლის მკაფიო შთაბეჭდილებით ცხოვრობს და მუშაობს, მისი ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად წარმართავს მთელ თავის პრაქტიკულ საქმიანობას ყველა საბჭოთა ადამიანი, უმაღლესი სკოლის მუშაკებს დაუსახა დიდი და პასუხსაგები ამოცანები ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების დარგში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შემდეგ, რომელიც მნიშვნელოვანი ნაშესვლები იყო რესპუბლიკის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომი სრულყოფის გზაზე, გაიშალა დიდი მუშაობა იმ ნეგატიურ მოვლენათა შედეგების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც განსაკუთრებით საგრძნობი იყო უმაღლეს სასწავლებელთა ცხოვრებაში, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ადამიანისათვის, ახალგაზრდობისათვის იმის რწმენის დასაბრუნებლად, რომ დღეიდან ცოდნის გარდა არავის არავითარი პრივილეგია არ ექნება.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნებით და დიდი მადაყოფილებით ვნიშნეს, რომ ნაყოფი გამოიღო რესპუბლიკაში გაწეულმა დიდმა მუშაობამ. ბოლო რამდენიმე თვეების სტუდენტები კარგ ცოდნას ამჟღავნებენ. ამ შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწრება რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

თათბირზე დასახელეს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწრების ამაღლების კონკრეტული მაგალითები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც წინა წლებში, როგორც წესი, სტუდენტთა უმრავლესობა, რომელიც მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს შეფასებას ღებულობდა, შემდეგ საშუალოდ სწავლობდა, ან სულაც არ სწავლობდა.

გაიარეს წლები, აღნიშნეს ორატორებმა, და ამ დიდი გამჯანსაღებელი მუშაობის შედეგებს უფრო ვიგრძნობთ, ოღონ მეცნიერებაში, წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ლიტერატურის დაწესებულებებში მოვლენ ის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც ახლა მივიღეთ, ისინი აღარ იქნებიან მხოლოდ თავისი პროფესიით შემოფარგლული ვიწრო სპეციალისტები, არამედ გაზდებიან ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული ადამიანები.

საიდუმლოება ხომ არ არის, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების, განსაკუთრებით საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებების ბევრი კურსდამთავრებული იმდენად ეცინა იყვნენ, რომ ზოგჯერ გასაკვირი იყო, საერთოდ როგორ მიიღეს დიპლომი?

პასუხისმგებლობა ჩვენი მომავლის — ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე, ადამიანთა ახალი თაობების წინაშე კადრების მომზადების საქმეში, აღნიშნეს ორატორებმა, დიდი პასუხისმგებლობაა. მას უნდა ვუდგებოდეთ საბჭოთა ადამიანურ პოზიციებიდან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კურსდამთავრებულ, რომელმაც უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი მიიღო მარტო ამა თუ იმ დარგის კარგი სპეციალისტი კი არა, არამედ პოლიტიკურად განათლებული, პატიოსანი, თავისი საქმის, სამშობლოს ერთგული მუშაკი იყოს, შესძენდეს უნარი თავისი წვლილი შეიტანოს მეცნიერების განვითარებაში, თავდადებით ემსახუროს საყოველთაოსახალხო საქმეს.

ახლა, აღნიშნეს ბემახსენებელმა და ორატორებმა, უნდა განვამტკიცოთ მიღწეული, წარმატებები ვაქციოთ ტრადიციად, აუცილებლობად, კიდევ უფრო განვავითაროთ ისინი.

წარმატებათა აღნიშნა, ითქვა თათბირზე, სულაც არ ნიშნავს, რომ უკვე ყველაფერი გაკეთდა და შეგვიძლია მიღწეულს დავჯერდეთ. ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს და საგულდაგულო და დიდი მუშაობა გვჭირდება, რომ სრული წესრიგი დამყარდეს უმაღლეს სასწავლებლთა მუშაობაში, აღარ იყოს ნორმებისაგან. არსებული წესებისაგან თუნდაც უმნიშვნელო გადახრის შემთხვევები.

სამწუხაროდ, აღნიშნეს ორატორებმა, არსებობდა ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომლებიც თავიანთი ცოდნის ძალზე დაბალი დონის მიუხედავად ათასნაირი თაღლითობისა და დანაშაულის საშუალებით ეწყობოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ახლა საქმე სულ სხვაგვარად არის. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც უნდათ, რომ ხელი მოითბონ ამ საქმეზე, ოღონდ ახლა მათი ტაქტიკა შეიცვალა. თათბირზე დასახელეს იმის მაგალითები, რომ კარგად მომზადებული აბიტურიენტების მშობლებიც კი გაეგებენ ასეთ „მეცენატთა“ მახეში. ასეთი „საქმოსნები“ რამდენიმე აბიტურიენტს აწყმუნებდნენ, რომ დაეხმარებიან უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის დროს და ფულს გამოართმევენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი ჩაირიცხებიან. მოტყუებული აბიტურიენტები სხვადასხვა „დოქმოლ ნიშნს“ სვამდნენ თავიანთ ნამუშევრებში და გულარხეინად ბრუნდებოდნენ შინ. ისეც ხდებოდა, რომ ამ აბიტურიენტთაგან ბევრი უმაღლეს სასწავლებელში ხვდებოდა საკუთარი ცოდნის წყალობით, „მეცენატები“ კი არხეინად იჯიბავდნენ მათს ფულს...

ამ პირობებში, აღინიშნა თათბირზე, განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. და ყველაზე მთავარია საკადრისი პასუხი გავცეთ იმათ, ვისაც ვერ აუტანია, რომ „შეკვეცეს მათი საფლობელოები“, რომ დაუხშეს უპატიოსნო ცხოვრების ყველა გზა.

ასეთი ადამიანები არაფერს არ თაყილობენ. ისინი ფარცელებენ ყოველნაირ ჭორებს, თავგზას უბნევენ ხალხს, ქმნიან აყიოტაჟს მისაღები გამოცდების გარშემო.

საზოგადოებრიობამ უფრო მტკიცედ უნდა აღიმაღლოს ხმა მათ წინააღმდეგ, აღნიშნეს ორატორებმა, უნდა შევქმნათ შეუწყნარებლობის ვითარება ასეთი ადამიანების, იმათ მიმართ, ვისაც საბჭოთა, კომუნისტური მორალის ნორმები თავისი ცხოვრების საზომად ვერ გაუზდია.

თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები იძულებიან ყალბ ცნობებს შრომითი სტაჟის შესახებ. თვითეული ასეთი ფაქტი განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდება და დამნაშავენი დაისჯებიან, მაგრამ, აღნიშნეს ორატორებმა, ასეთი ხელმძღვანელების გარშემო უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი. მომავალში უნდა აღიკვეთოს ანალოგიური შემთხვევები.

სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს რეპეტიტორობის საკითხი, აღინიშნა თათბირზე. ამ მოვლენას შესაბამისი სოციალური შეფასება უნდა მივცეთ. საპატიოა იყო უანგარო რეპეტიტორი, დაეხმარო ადამიანს, რომ თავისი ადგილი ეპოვოს ცხოვრებაში. ასე იქცეოდნენ ნამდვილი მასწავლებლები, ისინი, რომლებსაც არ ეიგიწყებთ და კეთილად ვახსენებთ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მაგრამ რეპეტიტორობა იოლი ფულის საშოვნელად, ამასთან ანგარებიანი მიზნით საგამოცდო კომისიებში შეძვრომა ეწინააღმდეგება პედაგოგის ეთიკას, სოციალისტურ კანონიერებას. საგნობრივი საგამოცდო კომისიების შედგენისას, აღნიშნეს მომხსენებელმა და ორატორებმა, წელს განსაკუთრებით ფრთხილად შეარჩიეს გამომცდელთა კანდიდატურები, არც ერთი პედაგოგი, რომელიც რეპეტიტორობაშია არის შემჩნეული, არ შეეკა საგამოცდო კომისიებში.

წელს თბილისისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მისაღებ გამოცდებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესოდ ყველაზე გამოცდილი პედაგოგები პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების რეკომენდაციით.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სულ მიიღებენ 13.200 ქალიშვილსა და ჭაბუკს, რაც 225-ით მეტია, ვიდრე შარშან. ბევრი მათგანი, ვინც წელს შევა უმაღლეს სასწავლებელში, დაეუფლება ახალ სპეციალობებს, რომლებიც ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში ათზე მეტია. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლები მოამზადებენ მართვის ავტომატური სისტემების. გამოყენებითი მათემატიკის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ხეტყის მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და მოწყობილობის და სხვა სპეციალისტებს. მაგრამ ჯერჯერობით რესპუბლიკაში ვერ დაეუფლებიან სპეციალობას საქართველოს მრეწველობის ისეთი ახალი დარგების მუშაკები, როგორიცაა მაგალითად ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება და ბევრი სხვა. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ 200-ზე მეტი ადგილი გამოჰყო იმ ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, რომელნიც ამ სპეციალობათა დაუფლებას მოისურვებენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამ ადგილზე ჩვენ რეკომენდაცია უნდა გავუწიოთ ნიჭიერ, კარგად მომზადებულ ახალგაზრდებს, რომლებიც მას შემდეგ, რაც თვითონ მიიღებენ კარგ განათლებას, რესპუბლიკისთვისაც მოამზადებენ კადრებს, გასწევენ სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხებს, რაც ყოველთვის და ფართო მასშტაბით უნდა იყოს საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის დღის წესრიგში, საზოგადოებრიობის, პრესის ყურადღების ცენტრში.

მომხსენებელმა და ორატორებმა იოანპარაკის ღონისძიებებზე, რომლებიც ახლა ხორციელდება ამ მიმართულებით, კერძოდ, რესპუბლიკის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ღია კარის დღეები, რუსულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა 1976 წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესები. საკმაო რაოდენობით დაიბეჭდა საგნობრივი პროგრამები აბიტურიენტებისათვის, საჭირო დოკუმენტაცია, ფურნალები, ანკეტები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა მისაღები კომისიებს მუშაობისათვის, გამოცემულია ცნობარები და ბუკლეტები რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოაწყო რექტორთა თათბირი, რომელზეც გადაწყვეტეს პრაქტიკული საკითხები ბოლო წლების მისაღები გამოცდების გამოცდილების შესაბამისად. ბევრ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაკები, რათა შეხვედროდნენ ახალგაზრდობას, შეერჩიათ საუკეთესონი, დახმარებოდნენ პროფესიულ ორიენტაციაში.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საშუალო და სპეციალურ სასწავლებელთა ახალი კონტიგენტის მიღების, სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხს.

ახლა რესპუბლიკაში 97 საშუალო სპეციალური სასწავლებელი ამზადებს სპეციალისტებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგისათვის. ამ ბოლო დროს გაიზარდა ახალგაზრდების, განსაკუთრებით რვაწლიანი განათლების მქონე ახალგაზრდების მისწრაფება ტექნიკუმებში. ამიტომ მიზანშეწონილია განათლების ამ ფორმის შემდგომი პოპულარიზაცია.

თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო მომავალ მიღებულ განყოფილებათა მუშაობის საკითხები, აღინიშნა, რომ უნდა გარდაექმნას საშუალო სკოლის მთელი მუშაობა იმისათვის, რომ გაზიარდოს სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე, რომ უნდა ავამაღლოთ ამ-ითი პასუხისმგებლობა, ვინც მოსამზადებელ განყოფილებებზე აძლევს რეკომენდაციას აბიტურიენტს, რომ ვასულ წლების გამოცდილების გათვალისწინებით უფრო სწორად და რაციონალურად უნდა ჩატარდეს მისაღები გამოცდები.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მიღება დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა და მას დიდი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეთ. მათ აღუთქვეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომ სწორედ ამ პოზიციებიდან მიუდგებიან ამ საქმეს და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა უმაღლესი სკოლისა და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მუშაკებს იმ დიდი მუშაობისათვის, რომელიც გასწიეს სასწავლებლებში წესრიგის დამყარებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, სპეციალისტთა კადრების მომზადების გაუმჯობესებისათვის.

ამხ. ე. შევარდნაძემ მათ უსურვა მისწვლება გამოცდების კარგად ჩატარება და ამ საქმეში მიღწეული წარმატებების განმტკიცება. (საქინფორმი).

მეცხოველეობა — ინდუსტრიული საფუძველზე

სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარმა მუშაობა დაამთავრა

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეები სამ დღეს ითვალიერებდნენ და ეცნობოდნენ მექანიზებულ კომპლექსებს, საკვებწარმოების საწარმოებს, აგრეთვე რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკასა“ და მისი საწარმოების საქმიანობას ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების დარგში.

5 ივნისს გაიმართა თათბირ-სემინარის დასკვნითი პლენარული სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ა. ეფეკსკი.

სხდომაზე განიხილეს თათბირ-სემინარის მუშაობის პირველ დღეს მოსმენილი მოხსენებები. გაიმართა საქმიანი სკა-ბაასი ამ შეთბეჭდილებების შესახებ, რომლებიც თათბირ-სემინარის მონაწილეებზე მოახდინა საჩვენებელი ობიექტების დათვალიერებამ, აგრეთვე იმ მუშაობის შესახებ, რომელიც რესპუბლიკაში გაწეულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცხოველეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს სრულიად რუსეთის გაერთიანება „რუსსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ნ. ბოსენკომ, თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნ. ეროფეევმა, რესპუბლიკური გაერთიანება „მოლდსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ვ. ბონდარენკომ, უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლ. მელნიკოვმა, რესპუბლიკური გაერთიანება „სომხსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ვ. ნავასარდიანმა, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. აბილოვმა, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კავსაძემ. გამოსვლებს წვთელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ თათბირ-სემინარი, რაიონებში ჩასვლა და საჩვენებელი ობიექტების დათვალიერება, იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც საქართველოში დაგროვდა მეცხოველეობის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, „საქსოფლტექნიკის“ მიერ ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციის დარგში, დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში კარგად დაიწყო „სამეურნეობთშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულება.

სხდომის მონაწილეებმა დიდი მადლობა გადაიხადეს თათბირ-სემინარის სანმაუშო ორგანიზაციისა და მასპინძლობისათვის, რომლებიც მათ საქართველოში გაუწიეს.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სსრ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. პატარიძეს, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მწრომელთა სახელით მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილებისათვის, რომ სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი საქართველოში გამართულიყო. მან მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლოდ საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“, მის თავმჯდომარეს ა. ეფეკსკის სემინარის მომზადებასა და მოწყობაში გაწეული დიდი დახმარებისათვის.

—მადლობას ვუხდით ჩვენს ძვირფას სტუმრებს — მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის წარმომადგენლებს სემინარში აქტიური მოსაწილეობისათვის, მნიშვნელოვანი შენიშვნებისა და წინადადებებისათვის, რომლებიც გამოთქვეს ობიექტების დათვალიერების დროს და თავიანთ გამოსვლებში.

მან აღნიშნა, რომ მიღწევებთან ერთად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი ამოცანაა, რომელთა შესრულებას არსებითს დახმარებას გაუწევენ თათბირ-სემინარზე გამოთქმული შენიშვნები, სურვილები და რეკომენდაციები. თათბირ-სემინარი დაგვეხმარება, რომ წარმატებით შეავსრულოთ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი ინდუსტრიულ საფუძველზე მეცხოველეობის გადაყვანის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებიან მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებას, ისეთი უმნიშვნელოვანესი სურსათის წარმოების გადიდებას, როგორიცაა ხორცი, რძე, კვერცხი, და ჩვენი მოვალეობაა, ხაზგასმით აღინიშნა ამხ. პატარიძემ, ყოველი ღონე ვიხმაროთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, „სამეურნეო-ბათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ქართულ ჩაისთან, ციტრუსებთან, მაღალხარისხოვან ყურძენთან, ხილთან, სხვა სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურებთან ერთად რესპუბლიკამ აწარმოოს მეტი რძე, ხორცი და კვერცხი. საქართველოს შეუძლია და კიდევაც გახდება დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

თათბირ-სემინარის შედეგები შეაჯამა ამხ. ა. ეფეკსკიმ.

სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, ჯ. პატაკიშვილი, თ. მენთეშაშვილი, ნ. ბეთაანავა.

თათბირ-სემინარის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).

ყვავილების დღესასწაული

ათასობით თბილისელი, საქართველოს დედაქალაქის ყველა რაიონის წარმომადგენლები შეკრებნენ 5 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, სადაც გაიმართა ტრადიციული ყვავილების დღესასწაული.

დღესასწაულის ნაზეიმო გახსნამდე სტუმრებმა დაათვალიერეს ყვავილების გამოფენა, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას მეყვავილეთა და ქალაქის დეკორატორთა ოსტატობისა და ფანტაზიის თაობაზე.

ყვავილთა დღესასწაულის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თბილისის მმრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ, რომელმაც ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც თბილისში მიმდინარეობს ქალაქის პროსპექტების, მოედნების, ეზოების გამწვანებისათვის, ახლად გაშენებული სკვერების დათვალიერებისა და გამოფენაზე წარმოდგენილი ყვავილების კონკურსის შედეგებზე, საქართველოს დედაქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და გამწვანების გეგმებზე.

ყვავილების კონკურსის გამარჯვებულად ცნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბოტანიკური ბაღი, მწვანე მშენებლობის სამმართველოს სანერგე.

მათ, და აგრეთვე თბილისის კალინინის, კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონების გამწვანების რაიონულ კანტორებს ახალი სკვერების საუკეთესო ორგანიზაციისთვის მიენიჭათ პირველი ხარისხის დიპლომები. ბევრ ორგანიზაციას მიენიჭა მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები.

კონკურსის გამარჯვებულებს მესამეზენ ყიურის წევრები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრები ნ. კეცხოველი და ვ. გულისაშვილი.

გამოფენის ღია ესტრადაზე გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ყვავილთა დღესასწაულში მონაწილეობდნენ: პ. გ. გილაშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატაკიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. დ. გაბუნია.

(საქინფორმი).

6 ივნისი მელიორატორის დღეა



ზეიმოგენ მელიორატორები

მელიორატორის დღეს პირველად აღინიშნავს მშენებელთა, ექსპლოატაციის მუშაკთა, დამპროექტებელთა თითქმის მილიონნახევრიანი არმია. 4 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ამ დღესასწაულს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაყოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამელიორაციო მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი, მეცნიერები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა ე. ე. ალექსეევსკიმ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აღუთქვეს, რომ მიწების მელიორაციის შემდგომი განვითარების პროგრამა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა, შესრულდება. (საკინფორმი).

ნ ი ვ ნ ი ს ი

ახლა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყოველი მეხუთე კაცი უმაღლესი სასწავლებლისა თუ ტექნიკუმის კურსდამთავრებულია. ძნელია გადაჭარბებით შეეფასოთ ამ ფაქტის მნიშვნელობა. გაიხსენთ: სოციალისტურ მშენებლობას რომ იწყებდა, საბჭოთა თითქმის არ ჰყავდა თავისი სპეციალისტები. დღეს კი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ჩვენი უმაღლესი საშუალებლები კვალიფიკაციურ კადრებს უმზადებენ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგს.

„პრავდის“ ფურცლებზე

უმაღლესი სკოლის მიჯნები

უმაღლესი სკოლის წარმატებები, — განაგრძობს გაზეთი, — სახალხო განათლების განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელი ზრუნვის შედეგია. მეცხრე ხუთწლედის წლებში ქვეყანას შეემატა 63 უმაღლესი სასწავლებელი, 5,5 მილიონი კვადრატული მეტრით გაიზარდა სტუდენტთა ქალაქების ფართობი.

**უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მიჯნა, ნათქვამია დასასრულ მეთაურ წერილში, მეათე ხუთწლედში 9,6 მილიონი სპეციალისტის მომზადებაა. დღე ჩვენი უმაღლესი სკოლის აღზრდილებმა თავდადებული შრომით, საქმისადმი შემოქმედებით

პარტიული მუშაობის ეფექტურობა და ხარისხი

დიდი ნდობა, დახმარება

ჩვენს ახალგაზრდა, ახალი კადრების დიდი უმრავლესობა, რომელნიც ამ ბოლო წლებში ჩაუდგნენ სათავეში რაიონულ თუ სხვა დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის ობიექტებს, მუშაობის ახალი სტილით ხელმძღვანელობენ და პატივისცემას იმსახურებენ. მათი მუშაობის უპირველესი ნიშნანთვისებაა სიტყვისა და საქმის ერთობლიობა, დასახული ღონისძიებათა შესრულების მკაცრი კონტროლი, პრინციპულობა და მომთხოვნელობა — სწორედ ეს ქმნის პარტიული კადრების ავტორიტეტს, იმ საქმიან გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა შესრულებას.

ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებებს სისტემატურად, ფრაგდებით სწავლობს, კითხულობს, ეფიქრებდა, მან კარგად იცის, რომ ადამიანი სამყაროს შემოქმედებითი ძალა არსებობდა ე. წ. „პატარა“, „უმნიშვნელო“ საქმეები. ცნობილია, როგორი ყურადღებიანი იყო ლენინი ადამიანებისადმი და დაუნდობელი — საქმისადმი, რა მკაცრად აკრიტიკებდა ამა თუ იმ რანგის მუშაკს, თუ ის ცდებოდა და როგორ დაუახლოვდებოდა, შეინდობდა მას, თუ ის საქმით გამოსწორებდა თავის უნებლივ შეცოდებას. იგი შორს იყო სენტიმენტალიზმისაგან და ასევე სძულდა უყურადღებობა, ბრიყვული ამპარტავნობა, ბიუროკრატიული წყიალსვლები.

ბელადი მოითხოვდა, რომ ქრთამის ამღები თუ მიმღები დაეხვრიტათ, რადგან მექრთამეობა რევოლუციის უმიჯნურეს მტრად მიაჩნდა. ლენინი წუწყარა იუსტიციის სახალხო კომისარს ეკრესკის, იქ სადაც ქრთამია, არაფერი პოლიტიკა არ შეიძლება იყოს.

ყველაფერი, რაც პარტიის, ხალხის სახელმწიფოს დღევანდელ თუ პერსპექტიულ ინტერესს შეეხებოდა, მეფდამეად ლენინის ყოველდღიური, შეუნელებელი ყურადღების საგანი იყო. იგი ვერ იტანდა ბიუროკრატიულ ქედმაღლობას, ამპარტავნობას, მისთვის არც უპრინციპო ძმა-ბიჭობა იყო ადამიანური დამოკიდებულების სამაგალითო ნიშნები.

არ შეიძლება მკითხველებს არ შეეახსენოთ დიდი მოაზროვნის ვ. ი. ლენინისა და მისი ჯამოჩენილი თანამებრძოლების უდიდესი ინტერესი თეორიისადმი, ოქტომბრის რევოლუციის პირველ, მეტად მძიმე წლებშიც პროლეტარიატის ბელადს არ შეუწყვეტია თეორიული შუაობა. სწორედ ამ დროს დაწერა მან კლასიკური ნაშრომები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალიზმის, კომუნიზმის მშენებლობის თეორიული და პრაქტიკული პროგრამებია.

სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, რომ ავადმყოფი ლენინის უკანასკნელი ჩანაწერი, ფიქრი საქართველოს შეეხებოდა. ეს დიდი ჰუმანისტი, ინტერნაციონალისტი კატეგორიულად მოითხოვდა ყოველი ჯერის ნაციონალიზმის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას.

საქართველოს ბოლშევიკებს, ლენინელებს შუდამ ახასიათებდათ ღრმად შენახული, განდიელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ყოველი ჯერის ნაციონალიზმს, შოვინიზმს თავგამოდებით ებრძოდნენ, საქართველოდან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ასპარეზზე გასული მოღვაწეები — ი. ჯუღაშვილი — სტალინი, ლადო კეცხოველი, ს. ორჯონიკიძე, ა. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ბ. ლომინაძე, მ. კახიანი, ლ. დოღობრიძე, თიანელი რაფიელ ხითაროვი და ბევრი სხვა ლენინელი.

ამ დიად ჰუმანისტურ იდეალებს, ტრადიციებს არასოდეს ულოლატებენ საქართველოს კომუნისტები, რომლებიც აღლიერებენ, უფრო ფართოდ ეწევიან ხალხის, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს.

ახლა ბევრი იწერება მართვის სისტემაში მეცნიერების მიღწევების გამოყენებაზე. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, ეს სიტყვად რჩება და ჩვენი მეცნიერები პრაქტიკულ მუშაკებს საჭირო და აუცილებელ რეკომენდაციებს არ აწვდიან.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის, რაც კარგად არის ცნობილი მკითხველთა უმრავლესობისათვის. ჩვენ ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს ერთმართველი პარტია ვართ. ეს გარემობა აასკეცებს ჩვენს პასუხისმგებლობას. პარტიას, ტიფიერი სათვალით როდი შეეყურებთ.

ფრ. ენგელსი გვასწავლიდა: „საჭიროა გარკვეული ავტორიტეტი... ხოლო მეორე მხრივ, საჭიროა გარკვეული მორჩილება. თუ გამარჯვებულ პარტიას არ სურს დაკარგოს თავისი ბრძოლის ნაყოფი, მან უნდა სცადოს თავისი ბატონობა შეინარჩუნოს იმ შიშით, რომელსაც მისი იარაღი უნერგავს რეაქციონერებს“.

პარტიამ ისიც კარგად იცის, რომ არსებობს არცთუ სუსტი, კაპიტალისტური, იმპერიალისტური სამყარო, რომელიც ანგარიშს უწევს მხოლოდ ძალას, ისევ ძალას და მეტს არაფერს.

ამიტომ საჭიროა ყველამ კარგად შევიცნოთ და შეივნოთ არსებული მეტად რთული საერთაშორისო ვითარება. ვიმეორებთ, იმპერიალისტები და მათი ლაქიები ფარ-ხმალს არ ყრიან. ეს კვლავ ხაზგასმით შეგვახსენა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე თავის მოხსენებაში.

ახლა ზოგიერთი სულწასული ადამიანი კუთხე-კუთხე გაიძახის: მართალია, წლების მანძილზე საქართველოში ნეგატიური მოვლენებისადმი წაყრუებით სხვადასხვა სახის სიმახინჯეს ვიღებ. იქაურ ტეშმარიტ ჯოუნისტებს ეამაყებოდათ, თუ როგორი ოპერატიულობით უპასუხა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კარგად ცნობილ დადგენილებას, რომელიც თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობას შეეხებოდა.

თანამედროვე ცხოვრება მეტად რთული, თავისებური, მრავალ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია. ტექნიკური პროგრესის ტემპი უნეტეულოდ აჩქარდა. აფრიკის, აზიისა თუ სამხრეთ ამერიკის ასეული წლების მანძილზე თითქოს მიძინებული ხალხები ოქტომბრის ზარმა, ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხებამ გააღვიძა. კაცობრიობის დიდი ნაწილი იმედით ჩვენ შემოგვყურებს. მტერი კი გაშმაგებით გვებრძვის. რა ჯურის პროვოკაციებს, ხერხებს, იდეოლოგიური ბრძოლის ბინძურ მეთოდებს არ მიმართავს, რომ როგორმე შეასუსტოს ჩვენი ქვეყნის მზარდი ავტორიტეტი და პრესტიჟი. ჩვენში არსებულ დროებით სიძნელეებს სოციალური სისტემის ორგანულ, ბუნებრივ თვისებად აცხადებენ.

ძაღლთა ყეფა ქარს მიაქვს, ჩვენი ქარავანი კი წინ მიდის. სწორედ საქართველოს კომუნისტებმა სულ მოკლე ხანში თავის წიაღიდან ახალი, პატიოსანი, ლენინური კადრები წამოსწიეს, მათმა უმრავლესობამ ხალხის უკვე პატივისცემა, ნდობა მოიპოვა.

ხალხი თავდადებით შრომობს, ღიღსა თუ პატარა სიძნელეებს თავს ართმევს, იღვწის, მუშაობს, ფიქრობს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ჩვენს მეცადინეობას შეესაფერისად აფასებენ, ნდობით გვეკიდებიან, ყოველმხრივ დახმარებას გვიწევენ.

ვლ. მაჭავარიანი.

ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობაზე

ხარაჩოები ჩამოხსნეს

დაიწყო უახლესი დანადგარმოწყობილობის მონტაჟი

ოპერისა და ბალეტის თეატრის [illegible]ადგენა-რეკონსტრუქციის გენეგ



ახალი სასტუმრო

ქურორტი წყალტუბო პოპულარულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. საკავშირო ჯანმრთელობის კერის კეთილმოწყობას და გაფართოებას შეუნელებელი ყურადღება ეთმობა.

ახლახანს აქ მწყობრში ჩადგა სასტუმრო — მოტელის „ტურისტის“ ახალი ხუთსართულიანი შენობა, რომლის ფასადი ეკლარის თეორი ქვითაა მოპირკეთებული.

ახალი სასტუმრო ერთდროულად 220 კაცს მიიღებს. ერთსაწოლიანი და ორსაწოლიანი კეთილმოწყობილი ოთახები რბილი თანამედროვე ავეჯითაა გაწყობილი.

პირველ სართულზე არის რესტორანი, ბარი, ქართული ეროვნული კერძების სამზარეულო.

სასტუმრომ მიიღო პირველი სტუმრები.

სურათზე: ახალი ხუთსართულიანი სასტუმრო-მოტელის შენობა წყალტუბოში.

გ. გერსამიას ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი ლექსი

რევაზ ასათიანი

**ო

პოეტი**

პარტია გვეძახის

სასწაულები კვალში მისდევს ნამგალს და ჩაქუჩს,
გუგუნებს გრდემლი და იღვრება სხივების ჩქერი.
ჩვენი დღეების წინსვლის ექო მოივლის წარსულს
და კვლავ წინ გვიხმობს,
წინ გვეძახის პარტია ჩვენი.

დგებიან თვალწინ მობიბინე ვრცელი მინდვრები,
შვიდფერი მთები შესდგომიან ცას და განთიადს.
აქ გულთან ერთად გული რეკავს დიდის დიდებით
და ზღუდეების ასაღებად
გვიხმობს პარტია.

კვლავ ვეტრფით იმას, რასაც გულმა ერთხელ შეპფიცა,
ერთხელ შეპფიცა და სამშობლოს ფარხმალად იქცა.
ვენახებიდან, ბაღებიდან ახოებიდან
გვიხმობს, გვეძახის
კომპარტიის საქმე და სიტყვა.

დროის ძახილმა პოეტის ხმა შრომაში აწრთო
და იმადება სტრიქონები ეპოქის ღირსი.
ამ სიმღერაში ეს მეათე ხუთწლედი ნაობს,
ამ სიმღერაში კომუნიზმის ძახილი ისმის.

ღილის ნათელი ყანის ღელვას გადაეფინა,
დაუფლებია რწმენის შუქი უსაზღვრო სივრცეს.
ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, მიწის მკერდიდან
გვიხმობს, გვეძახის
სიკეთისთვის პარტიის სიბრძნე.

როგორც არასდროს დაიჭიმოს სულის სიმები,
მარჯვენის ცეცხლი მოეკიდოს ნამგალს და სახნისს.
ამ ქვეყანაზე ჩვენი სწრაფვა, ნიჭი, იმედი
ემორჩილება და მიჰყვება პარტიის ძახილს.

ცისარტყელები გადმოშალონ მზის ჩანჩქერებმა.
სჭექდეს სიმღერა კვლავ გულიდან გულზე ნაკვესი,
ბედნიერება, მხოლოდ ხალხის ბედნიერება,
აი მიზანი, უმაღლესი უმწვერვალესი.

ითქვა! მაშ კიდეც დაიბუდოს ბარაქამ ზვრებში.
მიაგენ? კვლავაც უნდა შევძლოთ ძიება ახლის.
პარტია გვიხმობს, ნიშნავს გვიხმობს ხუთწლედის გზები,
რომლის სათავე არის მხოლოდ სიკეთე ხალხის.

დღეა თუ ღამე, ზღვა დაცხრა თუ უნდა იელვოს,
იჭრება ახლო თუ სიცოცხლით ივსება არხი,
მხოლოდ სამშობლოს,
მხოლოდ ხალხის საბედნიეროდ
გვიხმობს პარტია და მივყვებით პარტიის ძახილს,

კომუნისტური შრომის ბრიგადა

ქვეყნად მოდიხარ წელგამართული,
შენი მარჯვენის ხვავმა იმატა,
ხარ ჩვენი წინსვლის მარად დასტური,
კომუნისტური შრომის ბრიგადავ!

შენაც იქა ხარ, სად მზეს ელტვიან,
სადაც სიკეთის შუქმა ინათა.
შენი სიტყვა და საქმე ერთია,
კომუნისტური შრომის ბრიგადავ!

როგორც აქამდის კვლავაც გჯნდობით
და შენს შეძახილს გულზე ვიხატავთ.
ხარ სიამაყე ჩვენი ეპოქის,
კომუნისტური შრომის ბრიგადავ!

თარგმნა ვახტანგ გორგანელმა.

შეხვედრები ყირგიზეთში

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ყირგიზეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და ჰადრაკის ფედერაციის მიწვევით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა ათი დღე დაჰყო ყირგიზეთში საჰადრაკო ხელოვნების პოპულარიზაციისა და მოჰადრაკეებთან შეხვედრის მიზნით.

მსოფლიოს ჩემპიონი შეხვდა სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოს, სასწავლებლისა და კოლმეურნეობის ჰადრაკის მოყვარულებს, ყირგიზეთის მოჰადრაკეებს.

ამ შეხვედრებში მონაწილეობდა აგრეთვე ჟურნალისტი, საერთაშორისო არბიტრი თ. გიორგაძე. საუბრებმა მსოფლიო, საბჭოთა და ქართული ჰადრაკის შესახებ, მსოფლიოს ჩემპიონის ერთდროული თამაშის სეანსებმა წარმატებით ჩაიარა.

მასპინძლებმა ნ. გაფრინდაშვილი და თ. გიორგაძე ყირგიზეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის და ქ. ფრუნზეს სპორტკომიტეტების საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს, ხოლო ყირგიზეთის უნივერსიტეტმა თავის სპორტსლების საპატიო წევრად აირჩია.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა ნონა გაფრინდაშვილს.

— **ჩემს** ხანგრძლივ საჰადრაკო ცხოვრებაში პირველად მომიხდა მსგავსი მისია: საუბრებით და ერთდროული თამაშის სეანსებით პოპულარიზაცია გამეწია საყვარელი ხელოვნებისთვის. ისიც ასე ხანგრძლივი დროის მანძილზე, — თქვა ნონამ, — ეს არც თუ ადვილი საქმე ყოფილა. ყველას სურდა ჩვენი მოსმენა, შეხვედრა.

განსაკუთრებით დამახსოვდა შეხვედრა ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიაში. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა მუსა ადიშევმა სეანსშიც მიიღო მონაწილეობა (პარტია ყაბილით დავამთავრეთ). მას თვით პრეზიდენტი, აკადემიკოსი კარაკეევი ქომაგობდა. დიდ საუბრად იქცა შეხვედრა და მერე სეანსი რესპუბლიკის კომკავშირისა და სპორტკომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებთან.

საერთოდ თექვსმეტამდე შეხვედრა გვქონდა, მათგან ათი ერთდროული თამაშის სეანსით დამთავრდა. სეანსებში 154 პარტია ვითამაშე: 30 მოვიგე, 20-ში დავზავდი და 4 წავაგე. საპასუხისმგებლო სეანსი მქონდა ყირგიზეთის რკა უძლიერეს მოჰადრაკე ქალთან საათებით. ბრძოლამ თითქმის ხუთ საათს გასტანა. 7 პარტია მოვიგე და ერთი წავაგე — ყირგიზეთის ახალ ჩემპიონ ლუდმილა პროკოფიევასთან.

ყირგიზეთში ჰადრაკს დიდძალი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ ტრადიციები არ გაჩნიათ. ფაქტიურად მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც ჰადრაკს სერიოზული ყურადღება მიექცა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის რესპუბლიკის საჰადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს აკადემიკოს მურათბეკოვს. ახლა ყირგიზეთში ჰადრაკის განვითარებისთვის ბევრი რამ კეთდება. უკვე ჰყავთ პირველი ყირგიზელი ოსტატი ვიეი (დ. მამეტოვი), ხშირად ამართება საკავშირო მნიშვნელობის ტურნირები. შარშან ფრუნზეში საბჭოთა კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალი მოეწყო. მასში ჩვენი მოჰადრაკეებიც მაია ჩიბურდანიძე და ნინო გურევიჩი მონაწილეობდნენ. იქ დღესაც ახსოვთ ამ ნიჭიერი გოგონების საინტერესო თამაში. ამიკამად ყირგიზეთი ენთუზიასტების მთავარი საზრუნავია რესპუბლიკური კლუბის გახსნა.

ჩვენ მიგვიღო ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კენეშ კულმატოვმა, რომელიც გვესაუბრა ყირგიზეთში ჰადრაკის შემდგომი განვითარების გზებზე.

რა თქმა უნდა, შეხვედრებზე ეცნობოდით ხალხს, მათს ინტერესებს. მაგრამ მასპინძლებმა ისე ალაგეს ჩვენი გამოსვლები, რომ მეტი გვენახა, რაც უფრო ახლოს გაგვაცნობდა მათს რესპუბლიკას. გახდდით ისტორიულ მუზეუმში, სახალხო მრეწველობის რესპუბლიკურ გამოფენაზე, ოპერისა და ბალეტის თეატრში, არასოდეს დამავიწყდება მოგზაურობა ისილ-ყულის ტბაზე, სტუმრობა მწყემსებთან მთაში.

ბოლოს მონაწილეობა მივიღეთ ფრუნზეს ტელევიზიის ორმოცდახუთწლეულთან საგანგებო გადაცემაში, რომელშიც ეუბნებოდნენ გულშემატკივართა წერილებს. ეს ტელეინტერვიუ მეზობელი რესპუბლიკების — უზბეკეთისა და ყაზახეთის ტელემაყურებლებსაც აჩვენეს.

მასპინძლებმა სხვა ყირგიზეთთან ერთად მისახსოვრეს სასუვენირო ჰადრაკის ქომპლექტი, რომლის ფიგურები გამოკვეთილია ყირგიზეთის ეროვნული „მანასის“ გმირების მიხედვით. მაშინვე დამეხადა კითხვა: რატომ არ შეიძლება, ჩვენც გვქონდეს სასუვენირო ჰადრაკი, მით უმეტეს, რომ მდიდარი საჰადრაკო და მხატვრობის ტრადიციები გაგვაჩნია?

ყირგიზული სპორტის მესვეურთა სიტყვით ჩვენი გამოსვლებით სასარგებლო საქმე გაკეთდა, როგორც ქართველი და ყირგიზელი ხალხის ძმური სიყვარულის კიდევ ერთი გამოხატულება, ისე ყირგიზეთში ჰადრაკის შემდგომი განვითარებისთვის.

მეც ასე ვფიქრობ.

6 ივნისი მელიორატორის დღეა



ბაშურის რაიონის ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელ წლებში მეტი ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად წყლის გამოყენებას. სპეციალურად მოეწყო სარწყავი დანადგარები, რომელთა მეშვეობით ირწყვება როგორც ბოსტნეული კულტურები, ისე სხვა ნათესები.

სურათზე: ბოსტნეულის რწყვა.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მელიორაცია და მოსავალი

საქართველოს მელიორატორები — მეათე ხუთწლედს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ყოველწლიური დღესასწაულის „მელიორატორის დღის“ დაწესება ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, თუ რაოდენ დიდი ყურადღებით ეკიდება ამ საქმეს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

წყალი საზოგადოების სრულყოფის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ადამიანისათვის, მისი არსებობისა და განვითარებისათვის. ამიტომ ადამიანი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა წყლის გამოყენებას, სწავლობდა მისი მოქმედების კანონებს. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ მხარეში ბევრჯერ ვიცოდნ ბოლ ხშირად ზიანდებოდა ნათესები, რასაც მოსახლეობის შიმშილი მოსდევდა. საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ამ საქმეს და სათანადო სახსრები გაიღო სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 29 აპრილის დადგენილებაში — „ბვალესთან ბრძოლის თაობაზე“, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი, მთელი სიცხადით არის მოცემული სახელმწიფოს დიდი ზრუნვა, აღნიშნულია ირიგაციის განვითარების ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც პარტია ანიჭებდა მას ბვალეს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ათი წელი გავიდა ამ ისტორიული დადგენილების მიღებიდან. ამ პერიოდში არსებული ტემპით წარიმართა სამელიორაციო ღონისძიებები, შეიქმნა საჭირო მატერიალური ბაზა ყველა რესპუბლიკაში.

ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებისადმი მიმართულ წერილში 1921 წელს წერდა: „მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის ბარეს, აღორძინებს მას, დამარხავს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

1921-1930 წლებში რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემები — მაშველის (მდინარე რიონზე), ტირიფონის (მდინარე ლიახვზე), ქვემო ალაზნის (მდინარე ალაზანზე), დიღმისა და სოლანლუღის სატუმბავი სადგურები (მდინარე მტკვარზე). გარდა ამისა, მრავალი წვრილი არხით დაისერა ველ-მინდვრები. ამავე პერიოდში იწყება კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობა. 1941 წლისათვის სარწყავი მიწების რაოდენობამ რესპუბლიკაში 242 ათას ჰექტარს მიაღწია, ამ ღონისძიებათა შედეგები ჩვენი რესპუბლიკის მრავალ რაიონსა და კუთხეს ამჩნევია.

სახე იცვალა კოლხეთის დაბლობმა. საუკუნეობით დაჭაობებული მიწები ხალხის სამსახურში ჩადგა. სამელიორაციო ღონისძიებების შედეგად ჩამოყალიბებულია ინგირისა და ტეხურის, მზიურისა და ხუმფუკურის, კოლხეთისა და განთიადის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ჩაის, დაფნის, ციტრუსებისა და სხვა ტექნიკური კულტურების პლანტაციებით არის დაფარული.

მელიორაციის მძლავრი განვითარების ახალი ეტაპი 1966 წლიდან იწყება, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაისის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სამელიორაციო სამუშაოების დიდი პროგრამის განხორციელების შესახებ, რომელიც მიმართული იყო მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და ქვეყანაში უხვი მოსავლის მისაღებად.

ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი თავის მოხსენებაში მაისის პლენუმზე აღნიშნავდა, რომ ჩვენ მტკიცედ უნდა ვეუხრთა პარტიას, მთელ ხალხს, რომ ეს მიზდინარე კამპანია არ არის, ეს არის პროგრამა სოფლის მეურნეობის სფეროში, ნავარაუდევი ხანგრძლივი ვადით, პროგრამა, რომელიც საჭიროებს დიდ ძალას და არამცირე კაპიტალურ დაბანდებებს, მატერიალურ-ტექნიკურ სამუშაოებს. იგი ეყრდნობა მეცნიერების მონაცემებს და პრაქტიკას, იმ რეალურ შესაძლებლობებს, რომლებიც დღეისათვის გაჩნია საბჭოთა ეკონომიკას.

მელიორაციულ ღონისძიებათა განვითარების ახალი და მძლავრი ეტაპი ჩვენთან რესპუბლიკაში 1966 წლიდან დაიწყო და მკვეთრად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებები. მაგალითად, თუ 1960-1965 წლებში სამელიორაციო სამუშაოებზე 98 მილიონი მანეთი დაიხარჯა, 1971-1975 წლებში ათვისებულია 325 მილიონი მანეთი.

ამ დიდი პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების ფართო გამოყენებისა და მექანიზაციის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად ფართოდ დაინერგა ახალი ტიპის კონსტრუქციის ასაკრები ელემენტები, ლარები, წყალგამშვებები, ვარდნილები და სხვა, რომელთა დასამზადებლად აშენდა რკინა-ბეტონის ქარხნები და პოლიგონები, რომლებიც წელიწადში 110 ათასამდე რკინა-ბეტონის ნაკეთობის ამზადებს და აწვდის მშენებლებს სარწყავი ქსელის მოსაწყობად.

საგრძნობლად გაიზარდა მიწისმთხრელი მექანიზმების პარკი და სარემონტო ბაზები. დღეისათვის მარტო ექსკავატორების, ბულდოზერებისა და სკრეპერების საერთო რაოდენობამ ჩვენს სისტემაში 1.400 ერთეულს გადააჭარბა. მათ მიერ შესრულებული მიწის სამუშაოები ყოველწლიურად 80 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ასეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განხორციელების შედეგად რესპუბლიკაში ბევრი ახალი სარწყავი სისტემა შენდება. ექსპლოატაციაში შესრულდა სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოები, კოლხეთის მიწებზე კი — სამელიორაციო ღონისძიებები.

ამჟამად მელიორირებულმა მიწებმა 500 ათას ჰექტარს გადააჭარბა, რომელთა სრულფასოვნად გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას დიდ შესაძლებლობებს ქმნის.

კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული მომავალი წლების მაძიებლზე. ამ პერიოდში გასარწყავდება 230 ათასი ჰექტარი მიწა. რეკონსტრუქცია ჩატარდება 200 ათას ჰექტარზე, მომავალი წლებისათვის ვეგარაუდობთ კოლხეთის დაბლობის მთლიანად დაშრობას და ათვისებას, წყალსაცავების მშენებლობას ხრამზე, ალაზანზე, ორასა და სხვა მდინარეებზე, ზაფხულის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ მდინარეზე არსებული დეფიციტის დასაფარავად.

დიდი მოცულობის საირიგაციო სამუშაოებია დასახული კახეთის რაიონებში მევენახეობის განვითარების მიზნით და აგრეთვე მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის ძლავრი საკვები ბაზის შესაქმნელად.

ნავარაუდევია, რომ მომავალში სარწყავი ფართობი იძლი სარწყავი სისტემა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ წლებში აშენდა. გათვალისწინებულია, როგორც ამ სისტემის, ისე მდინარე ცხენისწყლის მარცხენა მხარეზე ძველად გაშენებული ცალკეული სარწყავი არხების მთლიანი რეკონსტრუქცია. გადაწყდება წყლის მიწოდების საკითხი მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა მხარეზე განლაგებული გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების მეურნეობებისათვის.

დიდი მოცულობის სამუშაოებია გათვალისწინებული კოლხეთის დაბლობის — ამ უნიკალური ეუთხის შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებისათვის. ამ ზონის ტემპერატურული რეჟიმი, ნაყოფიერი ნიადაგები და კლიმატის თავისებურება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გაშენების, მიბოსტნეობის განვითარებისა და ძლავრი საკვები ბაზის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს მესაქონლეობის განვითარებას, ხორცისა და რძის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას.

აი ასეთია იმ დიდი დავალებების საერთო მონახაზები, რომელიც ჩვენი უწყების სპეციალისტების წინაშე დგას მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

სასიხარულო თარიღის აღნიშნასთან დაკავშირებით ჩვენ ბევრ კარგ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ გვაქვს ნაკლოვანებებიც, რის შესახებაც სამართლიანად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV კონგრესზე და შემდგომ პლენუმებზე. სამინისტროს მიერ დაისახა სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, სამელიორაციო საქმისადმი სამინისტროს მთელი აპარატის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. სამელიორაციო სისტემების მშენებლობა მეტად დანახარჯებთან არის დაკავშირებული. გასაგებია, რომ ამ ძვირადღირებულ ღონისძიებათა განხორციელება სათანადო შედეგს უნდა გვაძლევდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდისათვის. მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ მელიორირებული მიწები ჯერ კიდევ მთელი შესაძლებლობით არ არის გამოყენებული, დაბალია პროდუქტიულობა და ამის გამო ვერ ვიღებთ სათანადო შედეგებს.

ახალი ხუთწლედის მთავარი ამოცანაა სამელიორაციო სამუშაოთა შემდგომი ზრდის პირობებში უზრუნველყოფთ მელიორირებული მიწების ეფექტური გამოყენებას, გავაუმჯობესოთ შესრულების ხარისხი, გავზარდოთ მათი გამოყენება.

მელიორაციის პროგრამა მეათე ხუთწლედში მრავალფეროვანია და დიდი მოცულობისაა საერთოდ და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკისათვისაც. ამ დიადი პროგრამის განხორციელება მეტად დაძაბულ მუშაობას, ხელმძღვანელობისა და მართვის სრულყოფას მოითხოვს.

ამოცანების სიდიადე შთამაგონებელი ძალაა საქართველოს მელიორატორებისათვის, რომლებიც მზად არიან თავგამოდებით იბრძოლონ ჩვენს ქვეყანაში დიდად განვითარებული, მყარი, ბუნების ბირეულობისაგან დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისათვის და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

ბ. ქობულია,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

ოფიციალური განყოფილება

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

დამასკი. 4 ივნისი. (საკდესი). დღეს სამშობლოში გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელმაც დაამთავრა ოფიციალური მეგობრული ვიზიტი სირიის არაბთა რესპუბლიკაში.

4 ივნისს ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა.

მიღება კრემლში

4 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მრეწველობის ფედერალური კომისარი რ. ა. ადელეიე, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვეულია არის ჩამოსული სსრ კავშირში.

საუბრის დროს მეეხნენ ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა მწერალი **ვლადიმერ ლევანის-ძე მრელაშვილი.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მელიორატორის დღესთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის:

გრიგალაშვილს გიორგი ნიკოლოზის-ძეს — ქარელის მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

კობრეიძეს ვასილ ირაკლის-ძეს — მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

მაზიაშვილს გიორგი ვასილის-ძეს — თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოს პიროტექნიკოსს.

ქიტუაშვილს გიორგი ალექსის-ძეს — კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უბნის უფროსს.

ქორჩილავას ვალერიან ბათლომეს-ძეს — გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უბნის პიროტექნიკოსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

გურგენიშვილს ვახტანგ ელიმერის-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს პირველ მოადგილეს.

მიდელაშვილს ყარამან პავლეს-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის მმართველს.

სანაძეს მიხეილ ვასილის-ძეს — მარნეულის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორის:

ამინაშვილს ივანე თევდორეს-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ქიტუაშვილს გიორგი ალექსის-ძეს — კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ლუკიანენკოს ნიკოლოზ მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 4 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ბრიაპინს ალექსი მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილასხვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვასაძე

თბილისი, 1976 წლის 4 ივნისი.

ფელეტონი

ლონდონი

ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობაში გაზეთი „ტაიმსი“ წერს, თუ რა საეჭვოა მდგომარეობაში არიან ებრაული ეროვნების ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ლონდონში და სიონისტური პროპაგანდის ანკეტს წამოეგენენ. როგორც გაზეთი მოწმობს, „ებრაელებმა არა აქვს საშუშაო და შემთხვევითი საშოვრით ირჩენს თავს. განსაკუთრებით დიდია უმუშევართა პროცენტი ისეთი პროფესიების პირთა შორის, როგორც არიან ექიმები, ეუნარალისტები, ინჟინრები, ეიორისტები, წერს „ტაიმსი“. მაგალითად, ტელევიზიის რეჟისორი მ. კატოვი მტვერთვად მუშაობს და სასმელი წყალი დაპქვს კანტორებში. მეორე ემიგრანტმა ე. ლიმონოვმა განაცხადა, რომ ნიუ-იორკის ემიგრანტულ ანტისაბჭოთა გაზეთში სამუშაო დაკარგა მას შემდეგ, რაც დაწერა სტატია, რომელშიც თქვა, რომ ჯული აუცრუდდა დასავლეთში ცხოვრებაზე. სასოწარკვეთილებამდე მისული რამდენიმე ემიგრანტი მივიდა ლონდონის „ტაიმსის“ ნიუ-იორკის განყოფილებაში და განაცხადა: სიონისტური ორგანიზაციები, რომლებიც ასე გაფაციცებით ცდილობდნენ გადაებირებინათ საბჭოთა კავშირის ებრაელები, სულაც აღარ ანაღვლებთ მათი ბედი, როგორც ი ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხვდებიან. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკურ მოღვაწეებზეც, რომლებიც ძალიან ბევრს ბჭობენ ამ თემაზე.

ემიგრანტები, წერს შემდეგ „ტაიმსი“, „ჩაითდნენ ბერეთი ამასაც, რომ ამერიკის გაზეთების რედაქციებმა, რომლებსაც სთხოვეს გაეშუქებინათ მათი გაჭირვებული მდგომარეობა, „ატეგორიულად უარი თქვეს ამაზე. ამავე დროს ეს გაზეთები სიტყვებით აქვეყნებენ ანტისაბჭოურ მასალებს, პროპაგანდა უწევენ სიონისტთა მონაზრებს საბჭოთა „ებრაირ ებრ ელთა მდგომარეობის შესახებ. მთელი რიგი წლების მანძილზე განუცხადეს ემიგრანტებმა ინგლისელ ჟურნალისტს, ამერიკელ გაზეთები არ აშურებდნენ მათ შესახებ მალალფარდოვან სიტყვებს. ახლა ჩვენ აქ, შეერთებულ შტატებში ვართ, მაგ რაღაც ... გვთქმევინებენ. ჩვენს აზრს ამერიკის ეგრეთწოდებული „ვისუფალი პრესის“ ფურცლებზ

ჟურნალისტის საბჭოში

ეროვნული — ინტერნაციონალური

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ვიეტნამი ინტერესებისათვის

ერაყსა და სირიაში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ახლახან დამთავრებული ოფიციალური მეგობრული ვიზიტების მთავარი შედეგია საბჭოთა კავშირ-არაბეთის. მეგობრობის გამტკიცება. ისეთ ვითარებაში, როცა იმპერიალიზმი და მისი დამქაშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ძირი გამოუთხარონ სსრ კავშირისა და არაბული აღმოსავლეთის ხალხმეგობრობა თანამშრომლობას, ამ ხრიკებისათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევას უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

ბაღდადსა და დამასკოში მოლაპარაკების შედეგად დადასტურდა მტკიცე გადწყვეტილება, რომ ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ და განვამტკიცოთ მეგობრული კავშირი ერთი მხრივ საბჭოთა კავშირსა და მეორე მხრივ ერაყსა და სირიას შორის. საბჭოთა კავშირ-ერაყის კომუნიკეში ერაყოფილებით იყო აღნიშნული, რომ აოლიტიკური კურსი, რომელიც 1972 წლის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ განსაზღვრა, წარმატებით ხორციელდება. ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე საძირკველია, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორი ვიზიტის მსვლელობაში მიღწეულია ახალი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირ-ერაყისა და საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის განუხრელად განვითარებას აღმავალი ხაზით.

საბჭოთა კავშირთან სირიისა და ერაყის ურთიერთობის შემდგომი გამტკიცება ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე ლახვარია ახლო აღმოსავლეთში იმ რეაქციული წრეების ზრახვებისათვის, რომლებიც არამარტო თვითონ მისჩაჩნალებენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, არამედ აგრეთვე ცდილობენ თავიანთი კაპიტულანტური პროამერიკული კურსი თავს მოახვიონ სხვა არაბულ ქვეყნებს.

ცნობილია, რომ ამ საძრახისი მიზნის მისაღწევად იმპერიალიზმი და მისი მოკავშირეები განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ახლო ორ უაქტორს: ლიბანის ტრაგიკულ ამბებსა და იმას, რომ გრძელდება ისრაელის მიერ არაბთა ოდინდელი მიწების ოკუპაცია, რომლებიც მან მიიტაცა 1967 წლის აგრესიის შედეგად. ომი ლიბანში ორი რელიგიური თემის — მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შინაური როდია.

სინამდვილეში, პროვოკაციულად უწყობენ რა ხელს სისხლისმღვრელი შეიარაღებული კონფლიქტის გაგრძელებას ლიბანში, იმპერიალისტური სახელმწიფოები და შინაური რეაქცია ცდილობენ არაბთა ყურადღება ჩამოაშორონ ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, შექმნან საბაბი იმპერიალისტური ინტერვენციისათვის, ლახვარი ჩასცენ მემარცხენე ეროვნულ-პატრიოტულ ძალებსა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას. ამ ვითარებაში, როგორც ხაზგასმულია საბჭოთა კავშირ-ერაყის კომუნიკეში, სსრ კავშირი და ერაყი კვლავაც ხელს შეუწყობენ ლიბანის მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, სისხლისღვრის უსწრაფესად შეწყვეტას, იმას, რომ ლიბანის კრიზისის პოზიტიურ გადაჭრას მიაღწიოს თვით ლიბანელმა ხალხმა.

(საკდესი).

ოფიციალური ვიზიტით

ბელგრადი.

(საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოწვევით აქ მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ძ. თ. კატუშევი.

მას დახვდნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის მდივანი ა. გრლიჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპაკოვი.

ოფიციალური მიწვევით

გუძარესტი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მრეწველობის მინისტრის მოწვევით 28 მაისიდან 4 ივნისამდე რუმინეთში იყო სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს დელეგაციის მინისტრის პ. ს. ნეპოროჟნის მეთაურობით.

ვიზიტის დროს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროჟნი მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ.

გწრ ურთიერთობის განვითარებისათვის

ბონი, (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთი „დი ტატი“ წერს, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის მშვიდობას.

ეს განცხადება, აგრეთვე, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირთან და ევროპის სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება მარტოოდენ სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკის საკითხი როდია. იგი ასევე შეესაბამება ხალხის ფართო მასების ყველაზე კონკრეტულ საჭიროებებსა და ინტერესებს.

გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის განცხადების იმ ადგილის მნიშვნელობასა და თანადროულობას, საიც სსრ კავშირის მთავრობა აფრთხილებს პოლიტიკოსებს, დასავლეთ ბერლინის თაობაზე დადებული ოთხმხრივი შეთანხმების „სიმტკიცის“ შემოწმებას რომ მოუწოდებენ, და ამასთან დაკავშირებით გადაჭრით გმობს დასავლეთ გერმანიის ზლუბვიგ ჰოლშტაინის მხარის ლანდტაგის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ფრაქციის დემონსტრაციულ სხდომას. დასავლეთ ბერლინში, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა.

სპეციალური ჯგუფის მოხსენება

ნიუ-იორკი, (საკდესი). გავრთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამოქვეყნდა სპეციალური ჯგუფის მოხსენება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის დავალებით იყო ვიეტნამში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ომით დანგრეული ვიეტნამის სახალხო მეურნეობის აღდგენას დიდი ხნის დაძაბული მუშაობა სჭირდება. ვიეტნამელი ხალხის მეცადინეობისა და ენთუზიაზმის მიუხედავად, ნათქვამია მოხსენებაში, ცხადია, რომ „სწრაფად შეუძლებელია 30 წლის ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება“.

ჟურნალისტ ბ. ფორდის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა წამოაყენა წინადადება, რომ მომდინარე წლის ზაფხულში გაიმართოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შეხვედრა. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, ეს შეხვედრა იქნება „რამბუიეს გაგრძელება“, ეს იგი იმ უმაღლესი დონის თათბირის გაგრძელება, რომელიც 1975 წლის 15-17 ნოემბერს გაიმართა პარიზის გარეუბანში. ვარაუდობენ, რომ შეხვედრაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კანადის წარმომადგენელიც.

„ახალი რამბუიე“ გაიმართება ივნისის დამლევს პუერტო-რიკოში.

იტალია იმიგრანტი მუშების მოთხოვნები

რომი. (საკდესი). „ჩვენ გვინდა იტალიაში ჩამოსვლა იმისათვის, რომ მონაწილეობა მივიღოთ პარლამენტის 20 და 21 ივნისის არჩევნებში და პროტესტი განვაცხადოთ მათ წინააღმდეგ, ვინც გვაიძულა სამშობლოდან წავსულიყავით ლუკმა პურის საშოვნელად“. ასეთი სიტყვებით იწყება, როგორც წესი, წერილები, რომლებსაც გაზეთ „უნიტას“ რედაქცია იღებს ბელგიაში, შვეიცარიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში მომუშავე იტალიელი იმიგრანტი მუშებისაგან.

იტალიის კომპარტია, რომელიც მტკიცედ იცავს იმიგრანტ მუშათა უფლებებს, სავსებით უჭერს მხარს იმ ადამიანთა მისწრაფებას, რომლებიც იძულებული არიან საარსებო სახსრები უცხოეთში იშოვონ. თავისი საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ ძირითად პუნქტად კომპარტიამ წამოაყენა მოთხოვნა, რომ მშრომელები სამშობლოშიც იყვნენ უზრუნველყოფილი სამუშაოთი, რომ აღმოიფხვრას ის მიზეზები, რომლებიც აიძულებენ მელიორონით ადამიანს იტალიიდან წავიდნენ სამუშაო ადგილის საძებნელად.

იტალიის კომპარტიამ, რომელიც მხარს უჭერს იმიგრანტ მუშათა სამართლიან მოთხოვნებს, მთავრობას მიმართა შეკითხვით, რომელშიც დაბეჭდილითი მოითხოვს, რომ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მშრომელები სამშობლოში ჩამოვიდნენ და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყარში.

ადასტურებს პრესა

სიონისტთა ანკეტს წამოგეგზავნა

ლონდონი. (საკდესი). ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობაში გაზეთი „ტაიმსი“ წერს, თუ რა საეჭვოა მდგომარეობაში არიან ებრაული ეროვნების ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ლონდონში და სიონისტური პროპაგანდის ანკეტს წამოეგენენ. როგორც გაზეთი მოწმობს, „ებრაელებმა არა აქვს სამუშაო და შემთხვევითი საშოვრით ირჩენს თავს. განსაკუთრებით დიდია უმუშევართა პროცენტი ისეთი პროფესიების პირთა შორის, როგორც არიან ექიმები, ეუნარალისტები, ინჟინრები, ეიორისტები, „ატეგორიულად უარი თქვეს ამაზე. ამავე დროს ეს გაზეთები სიტ... მოვნებით აქვეყნებენ ანტისაბ... ჭოურ მასალებს, პროპაგანდა... უწევენ სიონისტთა მონაზრ... ხებს საბჭოთა „ებრაირ ებრ ელთა მდგომარეობის შესახებ. მთელი რიგი წლების მანძილზე განუცხადეს ემიგრანტებმა ინგლისელ ჟურნალისტს, ამერიკელ გაზეთები არ აშურებდნენ მათ შესახებ მალალფარდოვან სიტყვებს. ახლა ჩვენ აქ, შეერთებულ შტატებში ვართ, მაგ რაღაც ... გვთქმევინებენ. ჩვენს აზრს ამერიკის ეგრეთწოდებული „ვისუფალი პრესის“ ფურცლებზ...**

საქართველოს ამბებში

მუშაობლიური პმეიზაეები



ბაქედან იწყება ჯვრის უელტეხილი.

ხაქინფორმის ფოტოქრონიკა.

რესპუბლიკის ახალი ამბები

პირველი პროდუქცია გამოუშვეს ჩეხოსლოვაკიის ფირმის ახალმა ნვტომატებმა „ევამ", რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცნენ თბილისის წინდის ფაბრიკა „არნანისში". ავტომატები ქსოვენ „კოლგოტკებს". მათი საშუალებით შრომის ნაყოფიერება ფაბრიკაში სამი პროცენტით მატულობს.

დაიწყო ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუქცია. იგი ითვალისწინებს ახალი საამქროს მშენებლობას, სადაც გამოუშვებენ ტექნიკურ ლითონურ დარიშხანსა და რაფინირებულ დარიშხანოვან ანჰიდრიდს, რომლებსაც ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საექსპლოატაციოდ გადაეცემა აგრეთვე მაღნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, გაფართოვდება მაღნარი.

ჩინებულ საჩუქარს მიიღებენ წელს ტურისტები და ექსკურსანტები — საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სამგზავრო საბაგირო გზა, რომელიც რაიონულ ცენტრ ყაზბეგს დაუკავშირებს „წმინდა სამების" ტაძართან. გზის სიგრძე ორი კილომეტრია. აქ დაიწყო მოწყობილობის დამონტაჟება.

თბილისის საშენ მასალათა კომბინატში დაიწყეს სასუფენირო კომპლექტების „ნარნარისა" და „თინათინის" გამოშვება, რომლებსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭათ. კომპლექტებში შედის ორიგინალური კერამიკული ნაკეთობანი, რომლებიც გამოირჩევიან ნატიფი, და გამოსახველი ფორმით. ამ ხუთწლედის დამლევისათვის კერამიკულ ნაკეთობათა გამოშვება 1975 წელთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ გაიზრდება. (საქინფორმი).

ჭაღრაკის ამბები

საქართველოს პირველობაზე

რუსაუბლიის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლა თანდათან მწვავდება. მეხუთე ტურში საერთაშორისო ოსტატმა ჩაიკოვსკაიამ, რომელიც აღმავლობით თამამობს, ზედიზედ მეოთხე პარტია მოიგო, ამჯერად — გურგენიძესთან. ლიდერს კვალში ჩაუდგნენ კახაბრიშვილი და წერეთელი. მათ უკვე ზედიზედ მესამე პარტია მოიგეს: კახაბრიშვილმა — ნ. მელაშვილთან, წერეთელმა — რ. გეგიძესთან. მამისთვალოვამ დამარცხა შელეგია, იოსელიანმა — ხუბულური, ხუციშვილმა — ჩხაიძე, ქ. გეგიძემ — ქ. მელაშვილი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ჩაიკოვსკაია. 3,5 ქულა ერთი გადადებული პარტია აქვს ოსტატობის კანდიდატ კახაბრიშვილს, 3,5 ქულა — ოსტატობის კანდიდატებს ქ. გეგიძესა და წერეთელს.

ეშბეტინმა გაუსწრო ლევენტინას.

ნოვგოროდში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მთელი შეჯიბრების მანძილზე პირველი ადგილისათვის ბრძოლა საერთაშორისო ოსტატებს ეშბეტინსა (გორკი) და ლევენტინას (ლენინგრადი) შორის მიმდინარეობდა. 13 შეხვედრიდან 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ეშბეტინმა, მან ნახევარი ქულით გაუსწრო ლევენტინას. 8,5 ქულით მესამე ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ჰოფმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

დიდი უპირატესობით

კუნძულ კრკ-ზე (იუგოსლავია) დამთავრდა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრებების ტრადიციული მატჩი. როგორც ცნობილია, გუნდები ამჯერად ახალგაზრდული შემადგენლობებით გამოდიოდნენ. პირველი დაფაზე თამაშობდნენ დიდოსტატები კურაიცა (იუგოსლავია) და ვასიანი.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 29:11 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ითამაშებს მ. ჩიბურდანიძეც

ცნობილი გახდა, რომ ფიდე-ს ხელმძღვანელობამ თანხმობა გაიცხადა საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თხოვნაზე, რათა საერთაშორისო ოსტატი, 15 წლის მაია ჩიბურდანიძე დამავებულ იქნას მსოფლიოს ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირზე. როგორც ვიუწყებოდით, ტურნირი მიმდინარე წლის 26 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე გაიმართება თბილისში.

გუშინ მაია ჩიბურდანიძე და მისი მწვრთნელი — დიდოსტატი ე. გუფელდი მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრნენ ლესელიძეში.

ცურვა

თბილისელის ევროპის რეკორდი

კიევში დამთავრებულ სსრ კავშირის რემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწია საკავშირო ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა, თბილისელმა იგორ კუშპელოვმა. 800-მეტრიანი დისტანცია თავისუფალი სტილით მან 8 წუთსა და 16,5 წამში დაფარა და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა. ძველი მიღწევა ეკუთვნოდა რაინერ შტრობახს (გდრ) — 8.21.5.

თბილისელი სპორტსმენის შედეგი 1500 მეტრზე (15.38,83) აგრეთვე აღემატება კონტინენტის ძველ მიღწევას. მასზე უკეთესი დრო აჩვენა შეჯიბრებაზე მოსკოველმა ვალენტინ პარინოვმა — 15.33, 59 და რეკორდსმენი გახდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა სპორტსაზოგადოებათა შორის უძლიერესი იყო „დინამო". უში-ნ-მ

ფეხბურთი

საბჭოთა იუნიორები — ფინალში

უნგრეთის დედაქალაქის ბუდაპეშტის „ფერენცვაროშის" კლუბის სტადიონზე გაიმართა ჭაბუკთა ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატის — უეფა-ს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და ესპანეთის ნაკრებთა შორის

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. სამივე ბურთი (ისევე როგორც დანიელებთან მატჩში) გაიტანა 19 წლის თაედამსხვლელმა ვიქტორ ანსტაშევსკემ (იგი კიეველი „დინამოში" თამაშობს). მესამე ბურთი მან თამაშის 58-ე წუთზე დარაესელიას მოწოდებიდან გაიტანა.

მეორე ნახევარფინალში უნგრეთისა და საფრანგეთის გუნდებს შორის პენალტების სერიით გაიმარჯვეს უნგრელებმა (ძირითადი დრო — 1:1).

ამრიგად, გადამწყვეტ მატჩში ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე", რომელიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები.

ჩვენი კინოფიში

ერთადერთი გზა

სცენარს საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს. 1943 წლის შემოდგომაზე იუგოსლავიის ქალაქ ბიხაჩში ფაშისტებმა 300 რუსი ტყვე ჩამოიყვანეს. ტყვეებმა პარტიზანებთან დაკავშირება მოახერხეს და აჯანყება მოამზადეს.

ღამეა... გზატეხილზე მიმავალი ბენზინით დატვირთული მანქანების კოლონას ჯარისკაცებით სავსე ხატვირთო მანქანა და რადიომანქანა მიჰყვება.

პარტიზანებმა იცეან, რომ საჭეს ტყვე რუსები უსხედან. კოლონის შესახერებლად მანქანებს ხაბურავებს დაუცხრილავენ. ინჟინერ-ლეიტენანტი სერგეევი სწორედ ახეთ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა...

გერმანელები იტალიაში ამბოდ ელიან ხაწვავს.

მთავარ როლებს ასრულებენ საბჭოთა და იუგოსლავიელი მსახიობები ა. კუზნეცოვი, დ. იანჩუვინჩი, ტ. სიდორენკო, ვ. მანდიჩი, ლ. დურაკოვი, გ. სტრიეფნოვი, ვ. ვიხოცკი, ი. მიროშნიჩენკო და სხვა. (სსრკ-იუგოსლავია).

ეს გულადი მრბოლები

რეჟისორ დამირ სალიმოვის ფილმი „ეს გულადი მრბოლები" მოზარდებისა და უფროსების ურთიერთდამოკიდებულებას მოგვითხრობს. პატარა გმირები ანვარი, ისმაილი, ბატარი, ოიგუნი და აზიზა ოცნებობენ საკუთარი ხელით შექმნან სარბოლო ავტომანქანა და შემდეგ ამ მანქანით იმოგზაურონ. მთელი წელი იწვალეს... მანქანა ლამაზი გამოვიდა. მართალია, ბავშვებს პირველად ხელი მოეცარათ, მაგრამ გული არ გაიტეხეს და ოცნების განხორციელება კვლავ მუყაოთად განაგრძეს.

როლებს ასრულებენ როსტომ ურაზოვი, ფურკატ ახმედოვი, დილია კარაკაშევა, ამან ბურხანოვი, ბაბურ ახმედჯანოვი. (უზბეკფილმი).

დაუცხრომელნი

უნგრელი კინემატოგრაფისტების ეს ახალი ფილმი ერთი თანამედროვე ოჯახის ამბავს გვაცნობს.

მარიას ცხოვრება კარგად აეწყო. უკეთეს ვერც ინატრებდა კაცი. მეუღლე პროფესორია, მოუკარული ქმარი და მამაა. შვიდი წლის შანიკე მშობლების სული და გულია. და აი ბედნიერება ერთის ხელის მოსმით დაინგრა. მარიას დის აგნეშკას ჩამოსვლამ ამ ტკბილი ოჯახის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. პროფესორს შეუყვარდა ლამაზი სტუმარი. არც აგნეშკა ალმოჩნდა გულგრილი სიძის მიმართ. სახოწარკვეთილმა მარიამ ოჯახი მიატოვა...

ფილმი კინორეჟისორმა ლ. ფაზეკაშმ გადაიღო. როლებს ასრულებენ კ. დენდეში, პ. ხუსტი, ი. დარაშა, მ. მარიაში. (უნგრეთი).

სხვა გაზეთებიდან

საინტერესო აღმოჩენა

ძალზე იშვიათი არქეოლოგიური ნამავნი აღმოაჩინეს დაბა კარნინტუმში (ქვემო ავსტრია). ავსტრიელმა არქეოლოგებმა ძველთაგანვე იცეან, რომ ეს არის რომაელთა დასახლების რაიონი და უკვე რამდენიმე წელია აქ გათხრები წარმოიეს.

საავტომობილო გზატეხილის გაკეთებისას ბულდოზერმა ადგილიდან დაძრა დიდი ბრტყელი ლოდი, რომლის ქვეშ აღმოჩნდა დაახლოებით 6 მეტრი სიღრმის ჭა. ჩამოსულმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მშვენივრად შენახული რამდენიმე კილომეტრი სიგრძის, დაახლოებით 1,2 მეტრი სიმაღლისა და 50-60 სანტიმეტრი სიგანის მიწისქვეშა ხვრელი. დადგინდა, რომ ეს იყო ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში აშენებული წყალსადენი, რომლითაც ძველთელობას სასმელი წყლით ამარაგებდნენ. წყალსადენი დღემდე მოქმედებს: როგორც ექსპერტებმა ცხადყო, მის ფსკერზე მიმდინარე წყაროს წყალი სავსებით სუფთა დალეზე გემრიელია.

რედაქტორი
დ. მჯელიშვილი.

ტელევიზია

ოთხშაბათი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ჯარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან). 10.30 — „მაღვიძარა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შვიდსწავლოთ რუსული ენა", 11.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ბიჭუნები ოცნებობენ", 12.30 — ნახატი ფილმი, 13.00 — „კინოფიმა", 13.30 — „საჰაერაკო სკოლა", 14.00 — „ჯადოსნური ეკრანი", 14.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუკუნე ყვავილებთან", 14.40 — „მუსიკალური კიოსკი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.10 — 1976 წლის ლენინური პრემიის ლაურეატები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.25 — „კინომოყვარულთათვის", 16.30 — „საერთაშორისო პანორამა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 18.45 — ნახატი ფილმი „მდინარის გასწვრივ", 19.00 — საბჭოთა კავშირში (თბილისში) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეულის საზეიმო დახურვის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან. შესვენების დროს — „მომამზე". 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოველ-ბიდან), 22.35 — „საესტრადო კონცერტი" (ფერადი გამოსახულებით).

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ეი, თქვენ, კოგბოებო!" 19.10 — დოკუმენტური ფილმი „შორეული ოკეანის ნაპირებთან", 20.10 — სატელევიზიო ფილმი — კონცერტი „სიყვარული, ოვერია, და..."

ორშაბათი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ვ. გოკიელი. საორკესტრო პიესები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ს. ცინცაძე. საფორტეპიანო პრელუდიები, 11.45 — საუბარი „დაძაბულობის შენელების სოციალური რეზონანსი", 12.15 — ქართული ხალხური ხმელერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გ. ეჭრიშვილის ლექსები, 12.30 — ჰ. ვენიავსკი. „ბრწყინვალე პოლონეზი", 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მელერის მ. კრისტალინსკაია, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ჯ. როსინი. სცენა ოპერიდან „სევილიელი დალაქი", 14.00 — ა. კრეინი. ბალეტ „ლაურენსიას" ნაწყვეტები, 14.15 — „კომპოზიტორი ა. ეშპაი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „დიდი ცხოვრების ერთი დღე", 18.05 — ქართული საორკესტრო პიესები, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — საუბარი „სასოფლო-სამეურნეო წარმოება სამრეწველო საფუძველზე", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საერთო საზრუნავი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „თეატრი მიკროფონთან" — რუსთავის ხალხემწიფო თეატრის სპექტაკლი „რას იტყვის ხალხი", 23.30 — რ. ლაღიძე. ოპერა „ლელას" ნაწყვეტები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

მეორე პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათ, ორშაბათ მოვლისშიანთ

7 ივნისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ჯარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოჯიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა: „ტკბილი ზღაპარი", და „მიტოვებული ნიჟარა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.55 — „ცხოველთა სამყაროში". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.55 — „კინომოგზაურთა კლუბი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა, 17.35 — „ცეროდენას ეკრანი", 18.05 — მოსწავლეთათვის „აბა გამოიცანი". ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 18.30 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა, 18.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „აკადემიკოსი ზავრიევი". პრემიერა, 19.10 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 19.30 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „უკრავს თენგიზ ამირეჯიბი". ფერადი გამოსახულებით, 20.40 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა). II ტაიმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 —სატელევიზიო სპექტაკლი „ბაკულას ღორები". საქართველოს ტელევიზიის დადგმა.

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ქიმია, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — სტუდენტთათვის — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, 19.25 — მხატვრული ფილმი „მამაცი ადამიანები" ,20.55 — განცხადებები, 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი აგარაკი".



6 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გელის ტბა** (დღისით, VII აბონ. V წარმ.), **კონცერტი** (საღამოს, I აბონ. VII წარმ.); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კვაპი კვაპანტირაძე** (დღისით), **მოჩვენებები** (პრემიერა. საღამოს). ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯარში მიდის დედისერთა**; საქართველოს მნიატიურების სახელმწიფო — **ფული და სიყვარული** (პრემიერა); მოზრდილთა დრამატული თეატრი-სტუდია (მეტეხის ტაძარში) — **უბედურება.**

7 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ვ. გოკიელი. საორკესტრო პიესები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ს. ცინცაძე. საფორტეპიანო პრელუდიები, 11.45 — საუბარი „დაძაბულობის შენელების სოციალური რეზონანსი", 12.15 — ქართული ხალხური ხმელერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გ. ეჭრიშვილის ლექსები, 12.30 — ჰ. ვენიავსკი. „ბრწყინვალე პოლონეზი", 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მელერის მ. კრისტალინსკაია, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ჯ. როსინი. სცენა ოპერიდან „სევილიელი დალაქი", 14.00 — ა. კრეინი. ბალეტ „ლაურენსიას" ნაწყვეტები, 14.15 — „კომპოზიტორი ა. ეშპაი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „დიდი ცხოვრების ერთი დღე", 18.05 — ქართული საორკესტრო პიესები, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — საუბარი „სასოფლო-სამეურნეო წარმოება სამრეწველო საფუძველზე", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საერთო საზრუნავი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „თეატრი მიკროფონთან" — რუსთავის ხალხემწიფო თეატრის სპექტაკლი „რას იტყვის ხალხი", 23.30 — რ. ლაღიძე. ოპერა „ლელას" ნაწყვეტები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ქიმია, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — სტუდენტთათვის — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, 19.25 — მხატვრული ფილმი „მამაცი ადამიანები" ,20.55 — განცხადებები, 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი აგარაკი".

6 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გელის ტბა** (დღისით, VII აბონ. V წარმ.), **კონცერტი** (საღამოს, I აბონ. VII წარმ.); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კვაპი კვაპანტირაძე** (დღისით), **მოჩვენებები** (პრემიერა. საღამოს). ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯარში მიდის დედისერთა**; საქართველოს მნიატიურების სახელმწიფო — **ფული და სიყვარული** (პრემიერა); მოზრდილთა დრამატული თეატრი-სტუდია (მეტეხის ტაძარში) — **უბედურება.**

8 ივნისი

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართველ კომპოზიტორის სიმღერები და რომანსები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08,32 — სიმფონიური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მ. გლინკა. ნაწყვეტები ოპერიდან „რუსლანი და ლუდმილა", 11.45 — „ჩვენ მხარდამხარ ვშრომობთ". მოწინავე ტკიბულელი მეზახტის ლ. ბერიკეძის გამოსვლა, 12.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. ლერმონტოვის ლექსები, 12.30 — ლ. სარიანი. სიმფონიური ციკვები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ე. გრიგი. სიმღერები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 14,00 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 14.15 — ხალხური მუსიკის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. შავერზაშვილი. სავიოლინო კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხზვნით, მეგობრებო!", 18.05 — ნ. ტუღუმისა და თ. მუშაკუდიანის კონცერტი, 18.45 — ჟ. სოლოვიოვ-სედოი. სიმღერები, 19.00 — საუბარი „მოძმე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება", 19.20 — გ. კოკელაძე. კამერული ნაწარმოებები, 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „შახტიორი" (დონეცკი)-„დინამო" (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი დონეცკიდან, 21.45 — კონცერტი — საუბარი „დირიჟორი ე. სვეტლანოვი", 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ორშაბათი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანაპირი რაიონებში მცირე წვიმა, ელჭექი, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბალ რაიონებში 23-28, მთებში — 18-23 გრადუსი სითბო იქნება. აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. მტკვრის ხეობაში იქროლებს დასავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-30, მთებში 17-22 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დღის მეორე ნახევარში ელჭექის ხანიათის უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 28-30 გრადუსი სითბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკართველოს ამბებში

ბაქედან იწყება ჯვრის უელტეხილი.

ხაქინფორმის ფოტოქრონიკა.

„კომუნისტის" პრიზი



● მძლეოსნური ამანათრბენი „თბილისის რალი" ● სტარტზე გამოდის 20 გუნდი ● ვინ მოიპოვებს ჩვენი გაზეთის გარდამავალ თასს?

დღეს თბილისის ქუჩები და მოედნები კვლავ გადაიქცევა „სარბენ ბილიკად" — მოსპარეზე გუნდების 17-17 მძლეოსანი ქალი და ვაჟი გამოვა ტრადიციული ამანათრბენის „თბილისის რალის" შვიდკილომეტრიან დისტანციაზე გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი თასის მოსაპოვებლად.

ეს შეჯიბრება პირველად „კომუნისტის" 50 წლის იუბილეს დღეებში — 1971 წლის 26 დეკემბერს გაიმართა. ასპარეზობა მაშინ დინამოელებმა მოიგეს. მომდევნო წლებში წარმატებას „ბურევესტნიკისა" და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებმა მიაღწიეს.

ვინ გაზდება პრიზის მეოთხე ლაურეატი? პასუხს ამაზე დღეს მივიღებთ. სტარტზე, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის წინ მიეცემა 11 საათზე, გამოვა ოთხ ჯგუფად დაყოფილი 20 გუნდი.

პირველი ჯგუფი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სამკერდე ნომერი 1), ფიზკულტურის (2), პოლიტექნიკური (3) და სასოფლო-სამეურნეო (18) ინსტიტუტები; **მეორე ჯგუფი** — პოლიტექნიკური (5), ტოპოგრაფიული (8), რკინიგზისა (12) და მანქანათმშენებელი (14) ტექნიკუმები, მწვრთნელთა სკოლა (20); **მესამე ჯგუფი** — საქარხნო (4), ლენინის (10), ოქტომბრის (13), კალინინის (16), პირველი მაისის (17), ორჯონიკიძის (22) რაიონების მოსწავლეთა ნაკრებები; **მეოთხე ჯგუფი** — სპორტკლუბები „მეგობრობა" (6), „ფეიქარი" (7), „გახთიადი" (9), „გამარჯვება" (11) და „უშბა" (15).

ამსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი თასი, პირველი ხარისხის დიპლომი და ვიმპელი, ხოლო გუნდის წევრებს — დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებსა და ვიმპელებს.

ჯილდოები (თასები და დიპლომები) გადაეცემათ აგრეთვე ჯგუფებში გამარჯვებულ კოლექტივებს.

გამოყოფილია სპეციალური ჯილდოებიც ამანათრბენის საუკეთესო მონაწილეებისათვის, მსაჯებისათვის.



უსიტყვოდ.

ა. ერაძის ნახატი.

— ანგარიში ხომ იცი, რა გაყურებინებს ვიდეოჩანაწერს?
— ხომ იცოდი, ოტელო რომ დეზდემონას დაახრჩობდა, რაღად წახვედი მეხუთედ თეატრში?

გ. ფირცხალავას ნახატი.

რისკის ფაქტორები

სანამ გვიან არ არის

ულის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზით დაავადების სიხშირე ამ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა ნაკლები ფიზიკური დატვირთვით ცხოვრებას ეწევა და ჭარბი რაოდენობით ღებულობს საკვებს, იმას მოწმობს, რომ ეს დაავადება ცივილიზაციის პროდუქტია.

რა ფაქტორები უწყობს ხელს კორონარული დაავადების ეპიდემიურ გავრცელებას?

არსებობდა აზრი, რომ ამ დაავადებათა გახშირება უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური და ამის მიზეზი დიაგნოსტიკის იმ საშუალებათა სრულყოფაა, რომლებიც დაავადების ადრეულ უცნობი ფორმების გამოვლენის შესაძლებლობებს იძლევა. არსებობდა აგრეთვე აზრი, რომ ამ დაავადებათა სიხშირის ზრდა ჩვენს დროში სიცოცხლის გახანგრძლივებით აიხსნება. ამ მოსაზრებებში არის ჭეშმარიტების მარცვალი. კორონალურ დაავადებათა წარმომშობი გარემოსა და მისი თანმხლები პირობების კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვლინებინა ზოგიერთი მავნე გავლენა და შეგვესწავლა მათი „პათოგენური" თვისებები. ამჟამად ისინი რისკ-ფაქტორების ჯგუფში განიხილება.

რისკ-ფაქტორების მცნებაში ჩვენ ყოველივე იმას ვუულისხმობთ, რაც ხელს უწყობს დაავადების განვითარებას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ადამიანი გარეგნულად სრულიად ჯანმრთელია. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, სტენოკარდია მაშინ კი არ წარმოიშობა, როდესაც პირველად გამოვლინდება და ექიმს მივმართავთ, არამედ ბევრად უფრო ადრე. ჩვენ რომ შეგეძლებოდა მომავალი დაავადების დაწყებითი, პირველი ნიშნების ამოცნობა და შემდგომში, ჩანასახოვან მდგომარეობაში მათი აღკვეთა, სადღეისოდ კარდიოლოგიის კ ეს მწვავე პრობლემა მეორე პლანზე გადანაცვლებდა, ამიტომ ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდების ძიება ღღეს, ისევე როგორც წინათ, მთელი მსოფლიოს კლინიცისტების ძირითადი საზრუნავია.

საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად რისკ-ფაქტორები განსაკუთრებით საშიშია. 50-60 წლის ასაკში. ამიტომაც უკანასკნელ წლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის ჩვენში მედიკოსები სწორედ ამ ჯგუფს იკვლევენ განსაკუთრებული ყურადღებით. მაგრამ ამ გამოკვლევათა შედეგები გვიჩვენებს, რომ პირველი დარღვევები გულის მუშაობასა, მსხვილ სისხლძარღვებსა და ორგანიზმის სხვა სისტემებში უფრო ადრეულ ასაკში იჩენს თავს.

რისკ-ფაქტორებია: მაღალი არტერიული წნევა, სისხლში ქოლესტერინის გაზრდილი რაოდენობა, თამბაქოს წევა, ჭარბი კვება, ზედმეტი წონა და ინაქტიურობა — ფიზიკური, მოძრაობითი აქტიურობის მკვეთრი დაქვეითება. ეს აუცილებელი რისკ-ფაქტორებია, რომელთა რაოდენობრივი განსაზღვრა და, მაშასადამე, შედარება შესაძლებელია, თვითეული მათგანი შეიცავს გართულების საშიშროებას, იზრდება მათი მავნე